

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

16 აპრილი, კვირა, 1961 წ.

№ 46 (1682)

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

# პირველ კოსმონავტს იური გაგარინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება!

## გმირი, ნამდვილი გმირი!

ძნელია გამოთქვა ის სიხარული, რომელსაც განიცდის ჩვენი დიადი სამშობლოს თვითეული მშრომელი, თვითეული საბჭოთა მოქალაქე. ის, რაც გუშინ იყო ოცნება, იმედი, მოლოდინი, დღეს ხელსახებ რეალობად და სინამდვილედ იქცა.

ადამიანი კოსმოსში... საამისოდ მან უნდა გაიაროს ყოველმხრივი მომზადება, იყოს ზედმიწევნით კარგად ნავარჯიშევი ფიზიკურად და მე მგონი, არ ვცდები თუ ვიტყვი, რომ იური გაგარინს ამაში დიდად შეუწყო ხელი ადრე მიღებულმა სპორტულმა წვრთნამ, საერთო ატლეტურმა მონაცემებმა. დღეს ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ იგი აქტიურად მისდევდა სპორტს — თამაშობდა კალათბურთს.

მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანები გულმხურვალედ მიესალმებიან ჩვენი დროის გმირს, პირველ კოსმონავტს — იური გაგარინს.

ბ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## ი. ა. გაგარინი—სპორტის დამსახურებული ოსტატი

კოსმოსურ სივრცეში პირველი მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მაიორ ი. ა. გაგარინს მიანიჭა „სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის“ წოდება.

## ზეიმობს ჩვენი ქვეყანა

ადამიანი კოსმოსში!

საბჭოთა კავშირმა სათავე დაუდო ახალ ერას კოსმოსის დაპყრობაში, კაცობრიობის ისტორიაში.

ეს ცნობა დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია.

საბჭოთა ადამიანმა, მაიორმა იური ალექსის-ძე გაგარინმა, პირველმა მოახდინა გაფრენა კოსმოსის სივრცეში და მშვიდობიანად დაეშვა დედამიწაზე. დაშვების ადგილზე პირველმა კოსმონავტმა უპატაკა: „გთხოვთ მოახსენოთ პარტიასა და მთავრობას და პირადად ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, რომ დაშვება ნორმალურად განხორციელდა, თავს კარგად ვგრძნობ, ტრავმა არ მომსვლია და არ დავშავებულვარ“.

ამ ისტორიულ, ამაღელვებელ მოვლენასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საგანგებო მიმართვაში მხურვალედ მიულოცა მფრინავ-კოსმონავტ ი. გაგარინს შესანიშნავი გმირობა და აღნიშნა საბჭოთა ხალხის საყოველთაო აღტაცება ამ გმირობის გამო, რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის მიერ კოსმოსის დაპყრობის ისტორიაში.

პარტია, მთავრობა, საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დამსახურებული დიდებით მოსავს იური ალექსის-ძე გაგარინის უმაგალითო გმირობას. ამის შესახებ ესაუბრა ტელეფონით პირველ საბჭოთა კოსმონავტს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რომელმაც განაცხადა: „მთელი ჩვენი საბჭოთა სამშობლო ამაყობს თქვენი დიდი გმირობით, იური ალექსის ძევ. თქვენ ჩაიდინეთ გმირობა, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა“.

ი. გაგარინის კოსმოსში წარმატებით გაფრენასთან დაკავშირებით მთელს ჩვენს დიად სამშობლოს მოედო მშრომელთა მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღა. საბჭოთა ადამიანები მხურვალე ალფრთოვანებას გამოთქვამენ თავიანთი წარმომადგენლის და მისი სახით — მთელი ჩვენი ხალხის ამ ბრწყინვალე გამარჯვების გამო. ი. გაგარინი შეტანილია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. 14 აპრილს, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირ ქალაქებში მიცემულ იქნა ოცი საარტილერიო ზალპი.

მთელი მოსკოვი სიხარულითა და ზეიმით შეხვდა 14 აპრილს დედაქალაქში პირველი საბჭოთა კოსმონავტის ჩასვლას. აქ, წითელ მოედანზე გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ეს უბადლო გმირობა, არის დიადი სოციალისტური სახელმწიფო!

ნ. ს. ხრუშჩოვმა აცნობა მიტინგის მონაწილეებს და თვით ი. გაგარინს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესახებ, რომლითაც პირველ კოსმონავტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ი. გაგარინს გადაეცემა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“. ამავე ბრძანებულებით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში დაიდგმება გმირის ბრინჯაოს ბიუსტი.

14 აპრილს გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა ბრძანებულებანიც, რომელთა საფუძველზე დაწესდა წოდება „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი“ და ეს წოდება პირველად მიენიჭა ი. ა. გაგარინს.

**სურათებზე:** მარცხნივ კ. დარასელია სტენდზე. ქუთაისელ გ. კვიცარიძისა და სოხუმელ პ. ჩანიკოვის ბრძოლის მომენტი.

ფოტო ვ. სემიონოვისა და ლ. ფაჩუაშვილისა.

# მოზარდთა საიუბილეო 40 სპარტაკიადა





## სასტენდო სროლა

სოხუმში ორ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება სასტენდო სროლაში. მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და თბილისის (2) გუნდები.

ადგილიდან სროლაში გუნდური პირველობა მოიპოვა ქ. თბილისის პირველმა გუნდმა, რომელმაც დააზიანა 553 სამიზნე 600 შესაძლებლიდან. ეს საქართველოს ახალი რეკორდია. გამარჯვებულს 13 ქულით ჩამორჩა აფხაზეთის ნაკრები, მესამე ადგილი წილად ხვდა თბილისის II გუნდს.

პირად პირველობაზე ბრწყინვალედ ესროდა სპორტის ოსტატი — სოხუმელი კ. დარასელია, მხოლოდ ერთი სამიზნე გადარჩა დაუმსხვრეველი. მან 100 შესაძლებლიდან დააზიანა 99 და პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი ბ. ანტონოვი, რომელიც გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა.

შეჯიბრების მეორე დღეს მიმდინარეობდა სროლა მრგვალ სტენდზე. გუნდური ადგილები ისევე განაწილდა, როგორც ადგილიდან სროლაში.

კვლავ ბრწყინვალედ ისროდა კ. დარასელია—ამჯამად ვერც ერთმა სამიზნემ ვერ დააღწია თავი დამსხვრევას. მან 100 სამიზნიდან 100 დააზიანა. აქაც მეორე ადგილზე გამოვიდა ბ. ანტონოვი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს „საქალაქმშენსაპროექტოს“ ინჟინერმა ახალგაზრდა მესტენდურემ მ. კლდიაშვილმა და ბათუმელმა ლ. შუმილინმა, რომლებმაც დააზიანეს 100-დან 95 სამიზნე და შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა.

როგორც ვხედავთ, ამ შეჯიბრებაში მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები.

**ჯ. მოწონელიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

✦

## „სვეიტლინგის თასი“ მასპინძლებს

პეკინის სპორტის სასახლეში დამთავრდა მსოფლიო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

ფინალურ შეხვედრებში იაპონიის ვაჟთა გუნდმა დაამარცხა უნგრეთის ნაკრები, ხოლო იაპონელმა ქალებმა გაიმარჯვეს რუმინელებთან. ჩინეთის ჩოგბურთელებმა სძლიეს უნგრელებს, ხოლო ამ ქვეყნის ქალთა გუნდმა დაამარცხა რუმინელთა ნაკრები. ამრიგად, გამოირკვნენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები — ჩინეთისა და იაპონიის ჩოგბურთელები.

ქალთა გუნდების მატჩში გამარჯვებული გამოირკვა უკანასკნელ შეხვედრაში, რომელიც მოიგო იაპონელმა. ამით იაპონიის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:2 და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა გუნდების შეხვედრა. მაშინ როცა ანგარიში იყო 3:3, ჩინელმა სიუ ინ-ჯენმა მეთოდური თამაშით დაამარცხა სახელგანთქმული ოგიმურა, ხოლო ჟუნ გოტუანმა — ხოშინო. ორთაბრძოლა დამთავრდა ანგარიშით 5:3 ჩინელების სასარგებლოდ.

გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ხალხთა შორის მშვიდობის ლენინური პრემიის ლაურეატმა აივორ მონტეგიუმ ჩინეთის ვაჟთა გუნდს გადასცა „სვეიტლინგის თასი“, ხოლო იაპონიის ქალთა გუნდს „კორბილონის თასი“.

✦

## ცურვა

შეჯიბრება ცურვაში საკმაოდ შემსუბუქებული პროგრამით ჩატარდა. არც ერთი ჯგუფისათვის არ ყოფილა გათვალისწინებული „ბატერფლაი“ და მიუხედავად ამისა, ასპარეზობაში მონაწილე 130 მოცურავიდან მხოლოდ ორმა — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრებმა ე. შავდიამ (ზურგზე ცურვა) და გ. კორბუკოვმა (თავისუფალი სტილით ცურვა) შეძლეს პირველი თანრიგის შედეგის ჩვენება.

საცურაო ბაზების უქონლობის გამო სრულიად უვარჯიშებელი მოცურავეებით წარსდგნენ სპარტაკიადაზე ქუთაისის გუნდები. ზამთრის საცურაო აუზის უქონლობა აშკარად ეტყობათ სოხუმისა და ბათუმის მოცურავეებსაც, რომელთა ნაწილმა გუნდებს ჩასათვლელი ქულები ვერ მისცა.

პირველ ჯგუფში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის უპირატესობა აშკარა იყო და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელიც მან მოიპოვა.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა მეორე ადგილისათვის სოხუმის ტყავის კომბინატისა და ბათუმის ლუდსახდელი ქარხნის გუნდებს შორის. პირველ დღეს ბრასის სტილით ცურვაში ვერც ერთმა სოხუმელმა ქალმა ქულა ვერ მისცა გუნდს და ბათუმელებმა 18 ქულით გაუსწრეს მეტოქეებს. სამაგიეროდ მეორე დღეს 400-მეტრიან დისტანციაზე სოხუმელთა ორი მონაწილის ჩასათვლელ ქულებს ბათუმელებმა 0 ქულით უპასუხეს და საბოლოოდ ორი ქულით ჩამორჩნენ.

მეორე ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბათუმის ციტრუსკომბინატის მოცურავეები.

სპარტაკიადა ჩატარდა თბილისის ღია აუზში, სადაც როგორც იქნა, გადაიჭრა წყლის გათბობის პრობლემა. თბილისელ მოცურავეებს ახლა საშუალება ექნებათ ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე აწარმოონ ვარჯიში.

**ა. ბარნაველი**

## კლასიკური ჭიდაობა

ბათუმში დამთავრდა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

პირად ჩათვლაში საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ხაჩატუროვი, ტუხაშვილი, (ორივე თბილისი), ნუცუბიძე (ქუთაისი), ქორიძე, ღუღუნაშვილი (ორივე თბილისი), ლეკვეიშვილი (სოხუმი), ხაპულიანი (თბილისი), ხითარიშვილი (სოხუმი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელი მოჭიდავეები.

**ტ. ფილიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

✦

## კრივი

ქუთაისში მოეწყო რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირადგუნდური შეჯიბრება კრივში.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ფინალური ტურნირი. უმჩატეს წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისელი გ. კვიცარიძე და თბილისელი გ. ჩობანიანი. მცირე უპირატესობით გამარჯვება მიეკუთვნა დედაქალაქის წარმომადგენელს. რ. მუკოიანმა (თბილისი) აშკარა უპირატესობას მიაღწია ქუთაისელ რ. რატიანთან ბრძოლაში. ქვემსუბუქ წონაში სოხუმელ ვ. პოპონდოპულოს ბრძოლა მოუხდა ქუთაისელ ე. მანდალიანის წინააღმდეგ. ადრე სოხუმელმა დაამარცხა თბილისელი სპორტის ოსტატი ს. ჩოტულიდი, გადამწყვეტ ბრძოლაში უპირატესობას მიაღწია ქუთაისელმა მოკრივემ, რომელიც გახდა კიდეც სპარტაკიადის ჩემპიონი.

მსუბუქ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ გ. ხორნეული (თბილისი) და სპორტის ოსტატი ჯ. კვანტალიანი (ქუთაისი). საინტერესო და ლამაზი ბრძოლა მოიგო ქუთაისელმა სპორტსმენმა. კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა ქუთაისის გუნდს პირველ ქვესაშუალო წონაში ზ. მაჭავარიანმა. მან ტექნიკურ ბრძოლაში დაამარცხა თბილისელი ზ. კოზაევი. მეორე ქვესაშუალო წონაში უძლიერესი იყო ო. ზებულაშვილი (თბილისი). მომდევნო წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: მ. აბულაძემ (ქუთაისი), მ. მამამთავრიშვილმა, ვ. სილაგაძემ, კ. ბაბახანიდმა (ყველა თბილისიდან).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: I ადგილი — ქუთაისი, II ადგილი — თბილისის I გუნდი, III ადგილი — თბილისის II გუნდი.

**ლ. ფაჩუაშვილი**

✦

## ქართული ჭიდაობა

გორში ჩატარდა ფინალური შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე. პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ავტოქარხნის, ბათუმისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების მოჭიდავეთა გუნდები.

პირველ ჯგუფში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მოჭიდავეებმა. მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ქუთაისის ავტოქარხნელები და თბილისის ელმავალმშენებლები. ამავე ჯგუფში პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა ა. ბარათაშვილმა და ტ. ქართველიშვილმა, გორელებმა — ბ. მაისურაძემ, შ. რომელაშვილმა, ა. ოდიშვილმა, ბ. ბალიკაშვილმა, ა. ქიბროწაშვილმა და ო. ტალახაძემ.

მეორე ჯგუფშიც გუნდური პირველი ადგილი გორელებმა მოიპოვეს. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნისა და მსუბუქი ავტოტრანსპორტის კანტორის მოჭიდავეებმა. პირად ჩათვლაში გორის გუნდიდან შვიდმა მოჭიდავემ გაიმარჯვა — ა. კოშუაშვილმა, ყ. ქვრივიშვილმა, ვ. ჯანგობეგოვმა, გ. დონდუაშვილმა, გ. პაპიძემ, დ. ბერუაშვილმა, მ. ყულიჯანოვმა, აგრეთვე თბილისელმა თ. პაპუაშვილმა.

**ი. თევდორაშვილი**

## გააკრიტიკეს ტანვარჯიშისა და საწყლოსნო სპორტის სექციები

ფოთში ჩატარდა სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე საქალაქო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა საბჭოს თავმჯდომარის ო. კემულარიას მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ.

—ამჟამად ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, — თქვა მომხსენებელმა, — ითვლება 9.000-ზე მეტი ფიზკულტურელი, რაც შარშანდელს 2.000-ით აღემატება. შეიქმნა 5 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი. გადაჭარბებით შესრულდა სპორტსმენ-თანრიგოსნების, მწვრთნელებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები, მაგრამ არსებობს ნაკლოვანებებიც — ქალაქის ყველა სპორტულმა საზოგადოებამ გეგმა ვერ შეასრულა სახეობათა მიხედვით. მონაცემების თანახმად 1960 წელს ქალაქში მომზადებულია 495 მესამეთანრიგოსანი მძლეოსანი, მაგრამ საიუბილეო საქალაქო სპარტაკიადაში მონაწილე 150 მძლეოსნიდან სათანრიგო მოთხოვნა შეასრულა მხოლოდ 15-მა!

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ტანვარჯიშისა და საწყლოსნო სპორტის საქალაქო სექციების მოუქნელი მუშაობა. „ვოდნიკში“, რომელსაც ყველაზე მეტი საშუალება და შესაძლებლობა აქვს, არ მუშაობენ ცურვის, წყალბურთისა და წყალში ხტომის სექციები.

მოწინავე კოლექტივების გვერდით ვხვდებით ჩამორჩენილებსაც. ასეთებია რკინიგზის ფოთის კვანძის, ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის, ელექტროგამაძლიერებელი ქარხნის, პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის დირექტორმა გ. კვაშილავამ, „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ძიძავამ, ნავსადგურის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩაჩიბაიამ, პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. სესკურიამ, სპორტის ოსტატმა შ. ჭედიამ, საქართველოს ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გეგეშიძემ, საქართველოს სსრ სპორტული ფედერაციების განყოფილების გამგემ შ. ახვლედიანმა.

კონფერენციამ აირჩია ფოთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საქალაქო საბჭო და პრეზიდიუმი. სპორტკავშირის საქალაქო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ო. კემულარია.

**ა. ლომაია**



**სურათზე:** სამდღიანი ველორბოლის „მონაწილეებმა აიღეს პირველი ეტაპის სტარტი და ტოვებენ თბილისს.

ფოტო
დ. ზალდასტანიშვილისა.

## 7,5:4,5

**მოსკოვი.** (ჩვენი სპეც. კორ.). ტალის სამმა წაგებამ ზედიზედ და ბოტვინიკის სასარგებლოდ ანგარიშის საგრძნობლად გაზრდამ შეამცირა მსოფლიო ჩემპიონის გულშემატკივართა იმედები. ამიტომ ხშირად გაიგონებთ „დროა ტალი შეურიგდეს ჩემპიონობის დაკარგვას“, „ოთხი ქულის განსხვავების დაძლევა შეუძლებელია, წარმოუდგენელია“ და სხვ. მაგრამ XII პარტიამ ცხადყო, რომ ასეთი დასკვნების გაკეთება ნაადრევია.

XII პარტიაში გათამაშდა ფრანგული დაცვა. ეს საყურადღებოა. იგი ბოტვინიკის „პირველი სიყვარულია“ და მისთვის არაერთი გამარჯვება მოუტანია. მაგრამ პირველი მატჩის I პარტიაში ტალმა მას ისეთი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა, რომ ბოტვინიკმა ხელი აიღო მასზე. ჩანს, ამის შემდეგ ბოტვინიკმა „შეაკეთა“ იგი და კვლავ გამოიყენა. რისკი მაინც არ იყო დიდი, რადგან ამ პარტიის წინ ბოტვინიკს 4 ქულის უპირატესობა ჰქონდა.

ექს-ჩემპიონს ღრმად გაურჩევია ფრანგული დაცვა და მოუნახავს თამაშის გართულების ახალი გზა, რომელიც კიდეც გამოიყენა. ტალი სწრაფად და ღრმად გაერკვა ბოტვინიკის სიახლეში. მან უკუაგდო მუქარები და მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. ბოტვინიკი გადავიდა დაცვაზე. ტალი მხნედ და ენერგიულად უტევდა. ლაზიერის დროებითი დათმობით მან გარკვეული პოზიციური და მატერიალური უპირატესობა მოიპოვა. ტალს ზედმეტი ხარისხი დარჩა. პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო ბოტვინიკისათვის უიმედო პოზიციაში.

15 აპრილს ბოტვინიკმა თამაშის განუახლებლად დათმო გადადებული პარტია.

XII პარტიის შემდეგ მატჩ-რევანშის ანგარიშია 7,5:4,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ. 17 აპრილს შედგება XIII პარტია, რომელშიც თეთრებით ბოტვინიკი თამაშობს.




დამთავრდა საქართველოს პირველობა მოჭადრაკე ქალთა შორის. პირველი ადგილი და საქართველოს ჩემპიონის სახელი მეოთხედ მოიპოვა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც 14 ქულა მოაგროვა 15 შესაძლებლიდან. მეორე ადგილი წილად ხვდა ა. ჩაიკოვსკაიას (13,5 ქულა), ხოლო მესამე —ნიჭიერ თელაველ მოსწავლეს თ. ხუგაშვილს (11 ქულა). მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ნ. მანველოვა (10,5 ქულა), ქ. გოგიავა, ს. ივანოვა (9,5 ქულა თვითეულს), ნ. ნაჭყებია (8 ქულა) და ა.შ.

* * *

**სურათზე:** საქართველოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

## სამდღიანი რბოლა

როგორც ცნობილია, მაისში მოეწყობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრავალდღიანი ველორბოლა, ამ ღონისძიებაში წარმატებით მონაწილეობის მიზნით უკვე კარგა ხანია ემზადებიან სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს უძლიერესი ველოსიპედისტები. ამ დიდი ღონისძიების გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს საქართველოს ველოსიპედისტთა სამდღიანი შეჯიბრება.

პირველი ეტაპის საერთო სიგრძე 105 კილომეტრი იყო. იგი იწყებოდა თბილისში, გრძელდებოდა წითელ ხიდამდე და მთავრდებოდა კვლავ თბილისში. რუსთავის გავლის შემდეგ დაწინაურდა სამი სპორტსმენი — ბურევესტნიკელი ე. ბირიუკოვი, განთიადელი ვ. ზელენკოვიჩი და რ. გუძი („კოლმეურნე“). მეორე ჯგუფში, რომელიც ლიდერებს მცირე განსხვავებით მიყვებოდა, სამი დინამოელი—ვ. შენგელია, ა. პროკოპენკო, ა. ივანოვი და „კოლმეურნის“ ველოსიპედისტი ვ. სიკორსკი იყვნენ. სპორტსმენებმა ამ თანმიმდევრობით განვლეს თითქმის მთელი დისტანცია. დაძაბული ბრძოლა გაიმართა ფინიშის ხაზთან ბირიუკოვსა და გუძს შორის. გაიმარჯვა ბირიუკოვმა—3:00,19,5. გუძი მეორე ადგილზე გამოვიდა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ეტაპის შემდეგ პირველ ადგილზეა სამგორის რაიონის „კოლმეურნის“ გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ვ. სიკორსკი, რ. გუძი, ს. გოცირიძე, გ. გნოლიძე, ნ. ტრეტიაკოვი და მ. ბარამია.

# ფეხბურთის მოყვარეებს

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 14 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი) — 3:1 (1:0).

„სპარტაკი“ — დუდა; რამიალისი, კულიკაუსკასი, იონუშკიავიჩუსი; კროცასი, სტაშკაიტისი; სტანკიავიჩუსი, ველკინი, ვასილიაუსკასი, ბრიკინი, ბულია (ლუკაშევიჩი).

„დინამო“ — კოტრიკაძე; ხურცილავა, ჩოხელი, ხოჭოლავა; ხუნდაძე, იამანიძე; მელაშვილი, ბარქაია (გ. სიჭინავა), კალოევი, ლობერიძე, მესხი.

მსაჯი ვ. სამოლაზოვი (როსტოვი).

## გუნდმა უკეთ უნდა ითამაშოს

... ეს შესანიშნავი გოლი თაილისელთა მიერ გატანილ იქნა მატჩის დასასრულს, მეორე ტაიმის 39-ე წუთზე. იამანიძე მინდვრის სიღრმიდან დრიბლინგით შევიდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, ერთ შეხებაზე, ტემპში გაითამაშა კომბინაცია კალოევთან და უაღრესად ძნელი მდგომარეობიდან, თითქმის აკრობატულ ნახტომში ზუსტად გაგზავნა ბურთი კარის შორეულ კუთხეში, რომელიც პრაქტიკულად მიუღწეველი იყო მეკარისათვის.

ამრიგად გატანილი გოლები ვარდა იმისა, რომ თავიანთი სილამაზით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ მაყურებელზე, ისინი ნათლად მეტყველებენ მათი ავტორის მაღალ ოსტატობაზე, მის შესაძლებლობებზე.

და აი სწორედ ამ ბურთის ავტორი შ. იამანიძე, რომელიც ჩვენს მიერ აღწერილ ურთულეს სიტუაციაში მოქმედებდა როგორც უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ზედმეტად აწარებდა ბურთს, აჩვლებდა ტემპს, ეთიშებოდა საერთო გეგმას და არაზუსტად აწოდებდა გადაცემას თავისუფალი მდგომარეობიდანაც კი. შ. იამანიძე ჩვენი ფეხბურთის „ოქროს ფონდის“ ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია და ამიტომ მას უფლება არა აქვს ითამაშოს საშუალოდაც კი. ე. ი. როგორც იგი ამჟამად თამაშობს. ამ უნივერსალური ფეხბურთელისაგან ჩვენ მხოლოდ მაღალ პროდუქციას მოველით.

კიდევ უფრო მეტი საყვედურის ღირსია თ. მელაშვილი. იგი საოცრად ფლეგმატური გახდა, პასიურობს, ცდილობს თავი აარიდოს ბრძოლას და ალბათ ამიტომაა, რომ ფეხს არ იცვლის თავისი ფლანგიდან. მას გვერდით ჰყავს ბურთის საუკეთესო გამთამაშებელი ბარქაია, რომელიც არც ერთი წუთით არ ივიწყებს თავის გარემარბს, მაგრამ მელაშვილი სისტემატურად კარგავს ბურთს, არ გამოდის თავისუფალ ადგილზე და ჩიხში შეჰყავს კარგად წამოწყებული კომბინაციები. გასაგებია, რომ სპორტსმენი ჯერ არაა შეუღლი ფორმაში, მაგრამ რამდენი შეიძლება ცდა? გუნდის ამ ერთ-ერთი საუკეთესო „ბომბარდირის“ უმოქმედობა ძალზე დაემჩნა თბილისის „დინამოს“.

ამიტომაა, რომ განვლილ მატჩში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა „შავი ლაქა“ იერიშის ბოლო ფაზაში: თუ საბოლოო დარტყმისათვის კართან არ გავიდა კალოევი, იქ არავინ ჩანს ისეთი, რომ დაამთავროს შეტევა და ლოგიკური დაბოლოება მისცეს მესხის ბრწყინვალე მოწოდებებს ფლანგიდან, ან მინდვრის შუაგულიდან დაწყებულ ოპერაციებს.

მთელ რიგ შეცდომებს აქვს ადგილი დინამოელთა დაცვაში. მართალია, საუკეთესო ფორმაში იმყოფება ხოჭოლავა და ჩოხელიც ყოველთვის ადგილზეა საჩოთირო მომენტებში, მაგრამ აღვილი შესამჩნევია ის ფაქტი, რომ ჩვენი გუნდის მოწინააღმდეგეებს ხშირად ეძლევათ შესაძლებლობა სრულიად უბრალო, მეორეხარისხოვანი შეტევიდან შექმნან გოლის გატანის რეალური მომენტები. ეტყობა, მცველთა შორის არაა სათანადო ურთიერთმოქმედება და დაზღვევა. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ განვლილ მატჩში გატანილი გოლი ჩვენს კარში და მომენტი მეორე ტაიმში, როცა ვასილიაუსკასი მარტო იყო დარჩენილი კარის წინ და ვერ შეძლო ზუსტი მისამართი მიეცა ბურთისათვის. რაც შეეხება „დინამოს“ ნახევარმცველებს, ისინი ზედ დროს ანდომებენ მოწინააღმდეგე შუამარბებთან ერთი-ერთზე თამაშს. ღეხდათუ ხ დასდევენ მათ, აშიშვლებენ შუა მინდორს და თავიანთ მოქმედებას უკარგავენ პოზიციური ბრძოლის ხასიათს.

საერთოდ, ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ არა აქვს მთლიანი, დახვეწილი თამაშის სახე. 90 წუთის განმავლობაში მრავალია ჩავარდნა, დროდადრო დინამოელები მთლიანად თმობენ ინიციატივას და ხელახლა უხდებათ მოგებული თამაშის თავიდან მოგება.

გუნდის წამყვანმა მოთამაშეებმა უნდა შეძლონ სათამაშო დისციპლინის შენარჩუნება. კოლექტივმა უნდა შეძლოს სტაბილური თამაშის ჩვენება მატჩის მსვლელობაში და რაც შეიძლება მალე მიაღწიოს თავის საუკეთესო ფორმას.

განვლილ შეხვედრაში იყო მომენტი, რომელსაც შეეძლო გარდატეხის შეტანა თამაშში: კალოევის მიერ კარგად გატანილი ორი გოლის შემდეგ სპარტაკელებმა მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას, გაქვითეს ერთი გოლი (რამიალისი) და შესაძლებლობა ჰქონდათ გაეთანაბრებინათ ანგარიში 36-ე წუთზე (ვასილიაუსკასი), მაგრამ თბილისელებმა დაალწიეს თავი ხიფათს და მატჩის დასასრულს იამანიძემ განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება — 3:1.

* * *

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

**რ. ქორიძე**

### მეორე ტურის მატჩები

I ქვეჯგუფი

„ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — 1:1
სკა (როსტოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 0:1
„შახტიორი“ (სტალინო)-„დაუგავა“ (რიგა) — 1:2
„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 2:0

II ქვეჯგუფი

„სპარტაკი“ (ერევანი)-ცსკა — 2:4
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) — 5:0
„დინამო“ (კიევი)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 2:1
„კაირატი“ (ალმა-ატა)-„დინამო“ (მოსკოვი) — 0:0

## გათამაშების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 16 აპრილისათვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 4 |
| „ავანგარდი“ ხ. | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 3 |
| „ლოკომოტივი“ მ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 3 |
| „ნეფტიანიკი“ ბ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 3 |
| სკა როსტ. | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 2 |
| „დაუგავა“ რ. | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 2 |
| „ტორპედო“ მ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 2 |
| „ადმირალტ“ ლ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| „ტრუდი“ ვორ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| „შახტიორი“ სტ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| „სპარტაკი“ ვ. | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |

* * *

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მოლდოვა“ კ-შ. | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 4 |
| „დინამო“ კ. | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 4 |
| „დინამო“ მ. | [illegible] | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| „სპარტაკი“ მ. | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| „პახტაკორი“ ტ. | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| „კაირატი“ ა-ატა. | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| „სპარტაკი“ ერ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| „კალევი“ ტალ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| „ბელარუსი“ მნ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| „ზენიტი“ ლ. | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

* * *

**პირობითი აღნიშვნები:**

თბ.—თბილისი, მ.—მოსკოვი, ბ.—ბაქო, ხ.—ხარკოვი, როსტ.—როსტოვი, ლ.—ლენინგრადი, რ.—რიგა, ვორ.—ვორონეჟი, სტ.—სტალინო, ვ.—ვილნიუსი, კ-შ.—კიშინიოვი, კ.—კიევი, ერ.—ერევანი, ტ.—ტაშკენტი, ა-ატა.—ალმა-ატა, მნ.—მინსკი, ტალ.—ტალინი.



# ოთხი პრეტენდენტი

ახლა, როცა ცნობილია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის VI გათამაშების ოთხივე ნახევარფინალისტი, სპორტული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამ გუნდებსა და მათ შესაძლებლობებს. მიმომხილველები სინანულს გამოთქვამენ, რომ უკვე ნახევარფინალში ხვდებიან ერთმანეთს მთავარი პრეტენდენტები „ბარსელონა“ და „ჰამბურგერ შპორტფერაინი“.

„ბარსელონამ“ წელს ყველაფერი შესწირა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებას. იგი გამოეთხოვა ესპანეთის ჩემპიონის წოდებას და პირველი ორი ადგილი „რეალსა“ და „ატლეტიკოს“ დაუთმო. ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გუნდის წამყვანი ფორვარდის სუარესის მწყობრში ჩადგომა ზრდის „ბარსელონას“ შანსებს თასის გათამაშებაში. ბევრად გაუმჯობესდა კუბალას ფორმაც. ეს ხანდაზმული ფეხბურთელი კარგა ხნის განმავლობაში იმყოფებოდა „ბარსელონას“ სათადარიგო შემადგენლობაში, მაგრამ იმდენად გააუმჯობესა თამაში, რომ იგი ესპანეთის ნაკრებშიც კი დააბრუნეს. „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა ნანობს, რომ კუბალამ ხელი მოაწერა კონტრაქტს „რივერ პლატასთან“ და ცნობილ ფრანგ ფორვარდ პიანტონისთან ერთად შემოდგომისათვის არგენტინაში გადაბარგდება.

„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ ამჟამად უძლიერესი გუნდია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დაცვაში გამოირჩევიან მეკარე შნოორი და ნახევარმცველი ვერნერი. თავდასხმის მარჯვენა ფრთა ბევრად ჩამოუვარდება მარცხენას, სადაც თამაშობენ მაღალტექნიკური, სწრაფი ფორვარდები შტურმერი (მიმომხილველთა ცნობით, იგი ამართლებს თავის გვარს, რაც გერმანულად თავდამსხმელს ნიშნავს) და დერფელი. ჰამბურგელთა მთავარი იმედია ცენტრფორვარდი ზეელერი, რომელიც საუცხოოდაა შეთამაშებული თავის პარტნიორებთან.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან „ბენფიკა“ (ლისაბონი) და „რაპიდი“ (ვენა). „ბენფიკა“ პორტუგალიის არაერთგზის ჩემპიონია და მიმდინარე პირველობის ლიდერი. იგი შემტევი სტილით თამაშობს, ჰყავს მეტად შედეგიანი თავდასხმა, რომელიც ეროვნული ნაკრების ბირთვს წარმოადგენს. გამოირჩევიან შუამარბები სანტანა და კოლუნა, აგრეთვე მარჯვენა გარემარბი კავემი. დაცვის ბურჯია საუცხოო ცენტრალური ნახევარმცველი ჯერმანო, რომელიც ამ პოსტზე ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება.

„რაპიდმა“ თავი დააღწია ხანგრძლივ კრიზისს და დაიბრუნა ჩემპიონობა, მაგრამ ავსტრიის მიმდინარე პირველობას იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს.

ნახევარფინალები მოეწყობა აპრილ-მაისში. ფინალური მატჩი ტრადიციის თანახმად გაიმართება ივნისში, ამჯერად ქ. ბერნის სტადიონზე, სწორედ იქ, სადაც 1954 წელს შედგა მსოფლიოს V ჩემპიონატის ფინალი.

## ნაკვესები

— თქვენი ქმარი ციებ-ცხელებითაა ავად... ძილში თუ აბოდებს?

— დიახ ექიმო!.. მგონი, რუსთაველზეა გაგიჟებული... ღამით ლოგინში წამოჯდება და ყვირის: „შოთა, შოთა, მეხხს მიაწოდეო“.

* * *

— ტრიგონომეტრია ჩააბარე?!. რა გკითხა?!

— ელიპსის მეორე ცენტრი მომინახეო...

— მერე?

— „მეორე ცენტრი ანდრო ჟორდანიას ვერ უპოვია-მეთქი“ და ჩამჭრა.

* * *

— შესვლა აკრძალულია: თქვენი ცოლის კეისრული გაკვეთის ოპერაცია იწყება, ნარკოზს იღებს...

— ვილუპები! ნარკოზამდე შეეკითხეთ, სად შეინახა ჩემი სტადიონის ბილეთი?

* * *

— დღეს რომ ლატარია გაათამაშონ სტადიონზე, რას ინატრებდი — „ვოლგას“ თუ „ჩაიკას“?

— 25 წლის ბორის პაიჭაძეს.

* * *

— დღეს კვირაა?!

— არა, ფეხბურთია!

ქ. კასრაძე

# კოსტას იცნობთ, მაისურაძეს?



შესაძლოა ამ სოფელში ქართველ კაცს ფეხიც არ დაედგას. იგი შორს, ჰელსინკიდან სამოცდაათ კილომეტრზე, ტბა ლოჰიას სანაპიროზე მდებარეობს. ლამაზი და მწვანე სოფელია ვიორკალა, მაგრამ ასეთი სოფლები ფინეთში არც ისე ცოტაა, სხვა მხრივ კი იგი არაფრით გამოირჩევა, არც მაგისტრალური გზა ჩამოუდის და აბა რა გასაკვირია, თუ ჩვენებური კაცი ჯერ იქ მართლაც არ მოხვედრილა.

არც კოსტა მაისურაძე ყოფილა თავის დროზე ვიორკალაში, მაგრამ მის სახელს ბევრი იქ დღესაც პატივისცემით ახსენებს...

* * *

ზამთრობით, როდესაც ფინეთში ჩრდილოეთის გრძელი, მოსაწყენი ღამეები დადგება, გიორგი ტორენენის ოჯახში მრავალი ახალგაზრდა იკრიბება. ბევრი მათგანი გიორგის ვაჟიშვილებთან მეგობრობს, მაგრამ ვიორკალელი ახალგაზრდების უმეტესობას მაინც ოჯახის უფროსთან, ძველ მესაათესთან საუბარი იზიდავს.

ბევრის მომსწრეა გიორგი. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ავიც საკმაოდ უნახავს და კარგიც. ჭაბუკობა რუსეთში, პეტერბურგში გაატარა. მუშაობდა მესაათედ, კერძო მეპატრონეებთან. ქარიშხალი ბობოქრობდა მაშინ თვითმპყრობელობის დედაქალაქში. პიტერი დიდი გადატრიალებისათვის ემზადებოდა. ორი რევოლუციის უშუალო მოწმე გახდა იგი...

მოსაყოლი მართლაც რომ ბევრი აქვს მოხუც მესაათეს. ახალგაზრდებიც გულდასმით უსმენენ. მაგრამ განსაკუთრებით მათ ის ადგილი იზიდავთ, სადაც გიორგი ძველი პეტერბურგის სპორტულ ცხოვრების მოგონებაზე გადადის.

მაშინ პეტერბურგში, იგონებს მოხუცი მესაათე — მრავალი ფინელი ცხოვრობდა. ბევრი მათგანი სპორტით იყო გატაცებული. პირადად მე ტანვარჯიშში გამოვდიოდი. ჩამოყალიბებული გვქონდა საკუთარი სპორტული საზოგადოება. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჭიდაობა. პეტერბურგში ამ დროს თავიანთ ძალებს ცდიდნენ ხალიჩის ცნობილი ოსტატები — ფინელები ტუომისტო, სილტალა, ერვინე, ესტონელი ტიგანენი, ზანგი ბამ-ბულა, რუსი გოლიათი კლიმენტი ბული, უძლეველი ივანე პოდდუბნი...

— შეხვედრები ჩვეულებრივ ცირკის შენობაში ეწყობოდა, სადაც დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. უმეტეს შემთხვევაში საცირკო პროგრამა გოლიათებისათვის ძალოსნობის სხვადასხვა სახეობაში მონაწილეობას ითვალისწინებდა: ჰგლეჯდნენ ჯაჭვებს, ღუნავდნენ მსხვილ რკინებს, შლიდნენ ცხენის ნალებს, სწევდნენ დიდ სიმძიმეებს, აწყობდნენ საჩვენებელ ჭიდაობებს... მაგრამ სპორტის მოყვარულთა ნამდვილი ზეიმი ოფიციალური საჭიდაო ჩემპიონატების დროს იწყებოდა.

ამ შეხვედრებში ჩემი მეგობარი თანამემამულეებიც მონაწილეობდნენ და მათი მიზეზით მალე მეც ცირკის ხშირი სტუმარი გავხდი. განსაკუთრებული პოპულარობით ივანე პოდდუბნი სარგებლობდა. მაგრამ იყო კიდევ ერთი ფალავანი, რომლის სახელის გამოცხადებას მთელი დარბაზი აღფრთოვანებით ეგებებოდა. ეს იყო ცნობილი ქართველი მოჭიდავე კოსტა მაისურაძე.

როდესაც ხმაური ოდნავ მიწყნარდებოდა, დარბაზს მშვენიერი ქართული საცეკვაო მუსიკის ხმა ედებოდა. კულისებიდან დინჯად გამოდიოდა შესანიშნავი აღნაგობის ჩოხიანი კავკასიელი. ცალ ხელს ხანჯლის ტარს დაადებდა, მეორეს გულთან მიიტანდა და საზოგადოებას მდაბლად თავს დაუკრავდა. შემდეგ მკლავებს გაშლიდა და საჭიდაო წრეს ცეკვით შემოუვლიდა. ჩვეულებრივად ცეკვა მაყურებელთა განუზომელი ტაშითა და ყიჟინით მთავრდებოდა. აღგზნებული დარბაზი მოცეკვავის ხელმეორედ გამოსვლას მოითხოვდა. კოსტაც გამოდიოდა ოღონდ ამჯერად არა ჩოხით, არამედ საჭიდაო მაისურით. ქართველი ფალავნის სიმარდით, ილეთების მრავალფეროვნებით, დარბაზი განცვიფრებაში მოდიოდა მაყურებელი ჩვეულებრივად კოსტას მხარეს იჭერდა ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ყოველ მის გამარჯვებას კვლავ ცეკვა მოჰყვებოდა. ისიც არ ამტყუნებდა გულშემატკივართა იმედებს, — როგორც წესი, ყოველ გამოსვლას ვაჟკაცური „ქართულით“ ამთავრებდა.

— პირადად მე, — განაგრძობს გიორგი ტორენენი, — იმდენად მოვიხიბლე მაისურაძის გამოსვლებით, რომ გადავწყვიტე მისი ახლოს გაცნობა, სურვილი ფინელ მოჭიდავეებს გავუმხილე და მათი დახმარებით სულ მალე კოსტას წინაშე აღმოვჩნდი. ეს იყო ცირკის გასახდელში, ერთ-ერთი მორიგი შეხვედრის წარმატებით დამთავრების შემდეგ. გამარჯვება მივულოცე, მან კი პასუხად ხელი ასე მძლავრად ჩამომართვა, რომ ძვლებმა ტკაცა-ტკუცი დამიწყეს. შემდეგში მასთან შეხვედრისას ხელებს მუდამ ვმალავდი, რაზედაც კოსტას გულიანად ეცინებოდა.

მალე დავმეგობრდით. თავისუფალ დროს ხშირად ერთად ვატარებდით. დავდიოდით პეტერბურგის ქუჩებში. ახოვანი გარეგნობითა და ქართული ჩოხით იგი ყველას ყურადღებას იქცევდა. მიყვებოდა თავისი სამშობლოს, ქართული წესებისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ...

უკანასკნელად ჩვენ რევოლუციის წინა წელს, ჩემთან, სახელოსნოში შევხვდით. კოსტამ შესაკეთებლად საათი მოიტანა. დიდხანს ვისაუბრეთ. მითხრა, რომ მალე პეტერბურგიდან უნდა წავიდეო, საგასტროლოდ სამხრეთის ქალაქებში იყო მიწვეული. გამომშვიდობებისას თავისი სურათი მაჩუქა, აი ეს სურათი, კედელზე რომ ჰკიდია.

ამ სიტყვებით მოხუცი კედლიდან სურათს ჩამოხსნის, დახედავს მას შემდეგ კი სხვებს გადასცემს.

მას შემდეგ ორმოცდახუთი წელი გავიდა, კოსტას შესახებ არაფერი მსმენია. მხოლოდ ეს სურათიღა დამრჩა მოსაგონებლად. — ამთავრებს საუბარს ძველი მესაათე და სურათს მოწიწებით კვლავ თავის ადგილზე კიდებს...

დიახ, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ოთხ ათეულზე მეტი წელია, რაც ქართველის სურათი შორეულ ჩრდილოეთში ერთი ფინური სახლის კედელს ამშვენებს. დღესაც პატივისცემით ახსენებენ კოსტას სახელს მოხუცი მესაათის გიორგი ტორენენის ოჯახში, ფინურ სოფელ ვიორკალაში...

არც მე ვყოფილვარ ოდესმე ვიორკალაში. არც მოხუცი მესაათე მინახავს პირადად და ის, რაც ახლა მოგიყევით, ძალზე სარწმუნო ადამიანისაგან გავიგე.

გავიცანით ჩვენ ერთმანეთი თითქმის შემთხვევით. ეს იყო ამ სამიოდე თვის წინათ, მოსკოვის მახლობლად, პოვაროვკის ორდღიან დასასვენებელ სახლში. საგზურებზე მიწერილმა ნომრებმა ერთ ოთახში მოგვახვედრეს. უკვე ღამე იყო, როდესაც იგი თხილამურებით სეირნობიდან დაბრუნდა. ოთახში შემოსვლისთანავე გამეცნო:

— კაი ტორენენ, ფინეთიდან.

მეც ჩემი ვუთხარი, თანაც დავუმატე, რომ „კაი“ ჩვენებურად კარგს, კეთილს ნიშნავს.

—ეს რომელ ენაზე?— დაინტერესდა იგი.

როდესაც გაიგო ქართველი ვიყავი, ახალგაცნობილს თვალები გაუბრწყინდა, ხელი ერთხელ კიდევ მაგრად ჩამომართვა და უეცრად შემეკითხა:

—კოსტას იცნობთ, მაისურაძეს?

შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, მით უმეტეს უცხოელისაგან, რომელიც რუსულად ორ სიტყვას ერთმანეთს ძლივს აბამდა, რომ პირველად დავიბენი, ყურებს არ დავუჯერე, ვთხოვე კითხვა კვლავ გაემეორებინა.

იმ ღამეს გვიანამდე აღარ დაგვიძინია. კაი — გიორგი ტორენენის უფროსი შვილი მამისაგან არაერთხელ გაგონილს, კოსტა მაისურაძის ამბავს მიყვებოდა. სხვათაშორის, წამოსვლის წინ მოხუცისაგან დავალება მიუღია — გაიკითხე, იქნებ მოსკოვში კოსტას შესახებ რამე გაიგოვო.

არაფრით შემეძლო გამეხარებინა ფინელი მეგობარი. იძულებული ვიყავი მოხუცი მესაათისათვის მწარე სიმართლე შემეთვალა: ქართველი ფალავანი პეტერბურგიდან წამოსვლის ორიოდე წლის შემდეგ ბაქოში უეცრად „ისპანკით“ გარდაიცვალა.

ამას წინათ ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. კაის მამისაგან კოსტას სურათი მიეღო. „ლელოს“ მკითხველებისათვის სურათიდან ფოტოპირი გადავიღე, ორიგინალი პატრონს მივეცი და ვთხოვე: უკანვე დააბრუნებინა, ისევ იქ, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა, იმავე კედელზე დაეკიდათ.

ვ. ესანჯია,

ქ. მოსკოვი.

რედაქტორი ი. უგულავა.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03901